აფხაზების ხმა ქართულ მედიაში

კავკასიის მედიის სკოლა

კვლევა მომზადებულია კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქების კლასის ფარგლებში, სტუდენტური კონფერენციისთვის. ლექტორი: ნინო ჟიჟილაშვილი.

ავტორი: მაგდა სარსევანიძე

5/30/2016

Contents

შესავალი 1

კითხვა 2

მეთოდოლოგია 2

კონტენტანალიზი 2

რაოდენობრივი ანალიზი 5

კითხვარი: 5

დასკვნა 7

შესავალი

1992-1993 წწ.-ში მიმდინარე ომის შედეგად აფხაზეთმა საქართველოსგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დღეს აფხაზეთი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს აღიარებული, ესენია: რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ, ტუვალუ და ორი თვითგამოცხადებული რესპუბლიკა: ე.წ "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" და ე.წ "დნესპრისპირეთის რესპუბლიკა". დღეს დეფაქტო აფხაზეთს, რომელიც საქართველოსგან დამოუკიდებელია, ადგილობრივი მთავრობა მართავს. მიუხედავად ამისა თბილისშიც არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. აფხაზეთთან კონფლიქტი საქართველოსთვის ჯერ კიდევ გადაუჭრელია. მუდმივად კეთდება შეფასებები და განცხადებები მოქმედების გეგმასა და დაახლოვებაზე. განცხადებებს აკეთებენ საქართველოს მოქალაქეები, პოლიტიკოსები, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები.

კვლევის თემის შერჩევისას და შემდეგ ონლაინ მედიაზე დაკვირვების შედეგად ჩამოვაყალიბე ჰიპოთეზა, რომ ქართული ონლაინ მედია ნაკლებად აშუქებს მეორე მხარის - აფხაზეთის წარმომადგენელთა აზრებს. საქართველოს მოსახლეობამ არ იცის რა ინტერესები, მიზნები და საჭიროებები აქვთ დეფაქტო აფხაზეთში მცხოვრებთ.

კითხვა

კვლევის მიზანი რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის მიღებაა: რამდენად ხშირად იღებს ქართული მედიის მომხმარებელი აფხაზების მხრიდან დანახულ ამბებს,
აინტერესებთ თუ არა საერთოდ ეს თემა მათ, ძირითადად რა სახის ინფორმაციას იღებენ, ვის შესახებაა ინფორმაცია, ცდილობს თუ არა ონლაინ მკითხველი მოიძიოს აფხაზური მედიასაშუალებებიდან ინფორმაცია, რისი გაგება უნდა მკითხველს ყველაზე მეტად.

მეთოდოლოგია

კვლევისთვის ქართული ონლაინ მედია საშუალებების კონტენტანალიზი ჩატარდა. ამისთვის 2 თვის - 2016 წლის აპრილისა და მაისის თვის ონლაინ მედია საშუალებების კვლევა გახდა საჭირო. იმის გამო, რომ აფხაზეთზე ბევრი მედია საშუალება არ წერდა მარტივი აღმოჩნდა google-ს advance search-ით მათი ყველას დათვალიერება.შეირჩა ორი ყველაზე ანალიტიკური სტატია, რომლებშიც მოლოდინი იყო, რომ მხარეთა მრავალფეროვნება და სხვადასხვა წყარო უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, ჩატარდა გამოკითხვა 8 პუნქტიანი კითხვარით ქართული ონლაინ მედიის მომხმარებლებში. აქვე კითხვარში 2 ღია კითხვა იყო დასმული, იმისთვის რომ უფრო მარტივი ყოფილიყო იმის გაანალიზება თუ რა ამბები ახსოვთ აფხაზეთზე და რისი გაგება უნდათ ყველაზე მეტად.

სამიზნე აუდიტორია: კვლევის რაოდენობრივ მეთოდისთვის შერჩეული იყვნენ ადამიანები 18-დან 40-წლამდე (თუმცა ერთეული შემთხვევებისთვის კითხვარში გამოყენებული იყო კატეგორია 40+), რომლებიც აქტიურად იყენებენ ინტერნეტს და მათთვის ინფორმაციის მთავარი წყარო სწორედ ინტერნეტია.

კონტენტანალიზი

ონლაინ მედიასაშუალებების კვლევისას აღმოჩნდა, რომ აპრილის თვეში ქართულ მედიაში მოკლედ იწერებოდა სიახლეები აფხაზეთზე, მაისის თვეში კი ერთი თემა გახდა აქტუალური - აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე მომხდარი სასიკვდილო ინციდენტი. ყველა მათგანში წყაროები და რესპონდენტები უმეტესად ქართველები არიან.
აპრილი

2016 წლის აპრილში ქართული ონლაინ მედია საშუალებები წერდნენ, რომ

- "აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე ერთი გამშვები პუნქტი გაუქმდა. (ზანთარაია, აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე ერთი გამშვები პუნქტი გაუქმდა)(რადიო თავისუფლება)
- აფხაზეთ-სამეგრელოს პირობითი საზღვრის სიახლოვეს სასათბურე მეურნეობა შენდება (livepress.ge)

- აფხაზეთი ქართული ენის გარეშე (ბასილაია)(http://www.resonancedaily.com/)
- გერმანული პრესა: ტერიტორიის ვერ გაკონტროლება და კონფლიქტები - ეს მიზეზები საკმარისია, რომ საქართველო ნატოში არ მიიღონ (nsp.ge)
- აფხაზეთი მორიგ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობს, ამჯერად - ჩერნოგორიაში (accent.com.ge)
- ნიკოლოზ მჟავანაძე ხელისუფლებას რუსეთთან დიალოგისკენ მოუწოდებს (კალანდია)timer.ge
- ბეგლიის ცნობილმა გუნდმა "სამარტინმა" , აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელასა და საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საქველმოქმედო საღამო ჩაატარა (ელისო ხუტკუბია)
- ლეიბორისტები ივანიშვილს აფხაზეთი-სომხეთის რკინიგზის პროექტით დაინტერესებაში ადანაშაულებენ (Rustavi2)

ჟურნალისტური სტილი ყველა მათგანისთვის ნეიტრალურია. რადიო თავისუფლებისა და რეზონანსის გარდა ყველგან, ამბავი მოთხრობილია მშრალად. სტატიათა უმრავლესობა 5w&1H კითხვებზე პასუხობს. ანალიტიკურია ზემოთაღნიშნული ორი მედია საშუალების სტატია, რომელიც ერთი ეხება აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე ერთი გამშვები პუნქტი გაუქმებას(ავტორი: თამარ ზანთარია), ხოლო მეორე აფხაზეთში და საქართველო-აფხაზეთის საზღვართან - გალის რაიონში ქართული სკოლები დაიხურა და მათ ნაცვლად რუსული სასწავლებლები გაიხსნა.(ავტორი: ეკატერინე ბასილაია)

რადიო თავისულფების ჟურნალისტს წყაროებად ჰყავდა: გალის სოფელ ნაბაკევის მკვიდრი მოსახლეობა, ალექსანდრე ჩიკვაიძე - აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.... სტატიაში ნათქვამია, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის გადაადგილება მომავალში შესაძლებელი იქნება, თუმცა გადასასვლელების რაოდენობა შემცირდება ... *“ დარჩება ერთი, მთავარი გადასასვლელი ენგურის ხიდზე და მეორე გალის დაბალი ზონის ერთ-ერთ სოფელში”*

რეზონანსის ჟურნალისტს წყაროებად ჰყავდა: დიმა ჯაიანი - აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განათლებისა და კულტურის მინისტრი, დიმიტრი გვარამია - დე ფაქტო აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილე, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი”, ნონა შონია - გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელი... სტატიაში საუბარია სკოლებში ქართული ენის ჩანაცვლება რუსული ენით, ზეწოლასა და აკრძალვაზე დე ფაქტო აფხაზეთის წარმომადგენლებსგან სკოლებში გაკვეთილების ქართულ ენაზე ჩატარებისთვის.

აპრილის თვის ჩამონათვალს თუ გადავხედავთ და ბოლოს მოყვანილ ორ სტატიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ აფხაზური ამბები აპრილის თვეში გაშუქდა მშრალად, ოფიციალური პირების კომენტარებით და მოკლედ გადმოცემული ფაქტებით. ყველა მათგანს აკლია ანალიტიკა და მეორე მხირდან დანახული ამბები - აფხაზების თვალით აღქმული კონკრეტული მოვლენები.

მაისი

2016 წლის მაისში, როგორც უკვე აღვნიშნე მთავარი თემა იყო აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე მომხდარი სასიკვდილო ინციდენტი. მოვლენას ქართული ონლაინ მედია ასე გამოეხმაურა:

- აფხაზმა ე.წ. მებაჟემ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გიგა ოთხოზორია მოკლა (GHN.GE)
- რუსი ე.წ. მესაზღვრის მიერ მოკლული გიგა ოთხოზორია საკუთარ სახლში გადაასვენეს (exclusivenews.ge)
- ე.წ. მესაზღვრის მიერ მოკლული გიგა ოთხოზორია საკუთარ სახლში გადაასვენეს (IPN.GE)
- ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცინიკური განცხადება - "ოთხოზორია მთვრალი იყო" (newposts.ge)
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია გმობს ხურჩაში მომხდარ სასიკვდილო შემთხვევას/ რუსეთი უარყოფს კავშირს ხურჩაში საქართველოს მოქალაქის დაღუპვასთან/ ნაბაკევის მკვიდრი: მოკლული საზღვარზე პროდუქტების გადატანის უფლებას ითხოვდა (ზანთარია) (radiotavisupleba.ge)
- მკვლელობა კონფლიქტის ზონაში (დალაქიშვილი) (amerikiskhma.com)
- მოხდა გამონაკლისი მკვლელობა და ეს არ არის სისტემური ხასიათის, რაც იყო ნაციონალების დროს - პაატა ზაქარეიშვილი (წერეთელი) (rustavi2.com)

ინფორმაციათა უმრავლესობა მოკლედ პასუხობს კითხვებს, ამბავში ნაკლებადაა ჩართული სხვადასხვა მხარე, არის ნიუსური ტიპის. რადგან ამბავი განგრძობადია follow up-ის სახით, ყოვედღიურად იდება ცალ-ცალკე კომენტარები და განცხადებები (რუსეთის მხარე, საქართველოს მხარე,ევროკავშირი) ჩამონათვალიდან მხოლოდ ერთში- newposts.ge იყო ნახსენები დე ფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცახდება (სახელი და გვარი არ იყო ნახსენები), თუმცა სტატიის ტონი იყო მკვეთრად სუბიექტური. მაგალითად სტატიაში წერია: “ ნათქვამია მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.” ან “ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცინიკური განცხადება”. სხვა დანარჩენ მედიასაშუალებებში აფხაზური მხარე არ ჩანს.

ამერიკის ხმის ჟურნალისტს წყაროებად ჰყავდა: საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ექიმი მაია ესებუა, პოლიტოლოგია მამუკა არეშიძე, შსს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი. ჟურნალისტი ნინო დალაქიშვილი წერს, რომ 19 მაისს *“აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან გუშინ ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რომლის მსგავსიც წლების განმავლობაში არ მომხდარა. სოფელ ხურჩასთან, რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მხრიდან განხორციელებული სროლის შედეგად დაიღუპა გიგა ოთხოზორია, 31 წლის დევნილი გალიდან, რომელიც ზუგდიდში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.”* სტატიაში წარმოჩენილია აზრი თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, ასევე ჟურნალისტი იხსენებს რომ ეს პირველი შემთხვევა სულაც არაა ბოლო წლებში და მაგალითისთვის მოყავს დავით ბაშარულის მკლველობა ახალგორში. *“რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ ხურჩის ინციდენტი ქართლ–აფხაზური ურთიერთობების დაძაბვის მიზნით ჩადენილ გამიზნულ ქმედებად”* ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ნინო დალაქიშვილს ჩაწერილი ჰყავს ექსპერტი, რაც მცდელობაა იმისა რომ სურათი უფრო ფართოდ დავინახოთ.

რადიო თავისუფლების ჟურნალისტს (თამარ ზანთარია) წყაროებად ჰყავდა: გარდაცვლილის ოჯახის ნათესავი დალილა ხურცია, ნაბაკევში მცხოვრები,რომესაც ვინაობის გამხელა არ სურს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სტატიაში, განსხვავებით სხვა მედია, საშუალებებისა, მოყოლილია ამბავი ადგილობრივებისა და ნათესავების მხრიდან. ვერსია, რომ მოკლულს აფხაზეთის ტერიტორიაზე პროდუქტების გადატანა უნდოდა, მხოლოდ აქაა ნათქვამი. ამ სტატიაშიცაა მოსაზრება თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა: *"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო...მომხდართან დაკავშირებით სრულ პასუხისმგებლობას რუსეთის ფედერაციას აკისრებს, როგორც ფაქტობრივი კონტროლის განმახორციელებელ ძალას"* უნდა ითქვას, რომ ამ სტატიის follow up რადიო თავისუფლებაზე იყო ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის განცხადება და რუსეთის ოფიციალური მხარის განცხადება.

რაოდენობრივი ანალიზი

2016 წლის აპრილისა და მაისის თვის ქართული ონლაინ მედიის კონტენტანალიზის შედეგად ჰიპოთეზა, რომელიც თავში იყო გამოთქმული სწორი აღმოჩნდა. საინტერესოა ამას მკითხველიც ამჩნევს თუ არა და გარდა ამისა იმისთვის რომ ცხადი გამხდარიყო რა აინტერესებს მათ, რას კითხულობენ და როგორ აღიქვამენ, ჩატარდა რაოდენობირივი კვლევა. კვლევაში 107-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ამათგან 72 ქალი ხოლო 35 კაცი, უმეტესობა 59,8% (64 ადამიანი) 18-დან 25 წლამდე ასაკის იყო. კითხვაზე გაინტერესებთ თუ არა ახალი ამბები აფხაზეთზე 103-მა დადებითად უპასუხა. აღმოჩნდა, რომ ინფორმაციას როდესაც ცხელი ახალი ამბავია მომხდარი, ძირითადად მაშინ ეცნობიან 72,9%. რედპონდენტტთა 88,8% ახალ ამბავს ქართული მედია საშუალებიდან იღებს. უმეტესობა - 69,2% მიიჩნევს რომ ძირითადად მედიასაშუალებების რესპონდენტები ქართული ოფიციალური მხარედან არიან. 102 გამოკითხული თვლის რომ ქართული მედია არაა ამომწურავი იმისთვის რომ გაიგოს თუ რა ინტერესები, საჭიროებები და მიზნები აქვთ აფხაზებს, ამასთან 83,2%-ს არ უცდია რომ ერთი კონკრეტული ინფორმაცია აფხაზური მედია საშუალებებიდანაც მიეღო.

რაც შეეხება კითხვარის თვისებრივ ნაწილს- 2 ღია კითხვას, პირველი კითხვა იყო შესაფასებლად, თუ რა დაიმახსოვრა მკითხველმა ყველაზე მეტად: ასეთი ამბავი აღმოჩნდა გიგა ოთხოზორიას მკვლელობა. მე-2 კითხვაზე თუ რის გაგებას ისურვებდნენ აფხაზებზე ან აფხაზებისგან ძირითადად შემდეგი პასუხები დაფიქსირდა: „საქართველოსთან მიმართებაში რა ხედვები აქვს ახალ თაობას" „თუ რას ფიქრობენ ჩვენზე, როდემდე აპირებენ ასე ცხოვრებას, არ უნდათ შერიგება?" „როგორ ცხოვრობენ ახლა, მათი სოციალური მდგომარეობა, რას ფიქრობენ ქართველებზე, წარმოუდგენიათ ქართველებთან თანაცხოვრება ისევ?" „ყველაფერს. მათ ახლანდელ ყოფას, კულტურას, ყოველდღიურობას. და არა მხოლოდ იმ დაძაბულ ვითარებას, რასაც ახლა იუწყება პრესა თუ ტელევიზია. ამის მიღმა რა ხდება ის არის საინტერესო."

კითხვარი:

სქესი:

- ქალი (72)

- კაცი (35)

ასაკი:
- 18-25 (64)
- 26-32 (22)
- 33-39 (14)
- 40+ (7)

გაინტერესებთ თუ არა ახალი ამბები აფხაზეთზე ?
- კი (103)
- არა (4)

რამდენად ხშირად ეცნობით აფხაზეთის შესახებ ინფორმაციას მედიაში?
- ყოველდღიურად (11)
- ყოველ კვირეულიად (5)
- ყველ თვიურად (13)
- როდესაც ცხელი ახალი ამბავია მომხდარი (78)

რომელი მედიასაშუალებიდან იღებთ ინფორმაციას?
- ქართული (95)
- რუსული (3)
- აფხაზური (2)
- უცხოური (ევროპული/ამერიკული) (7)

, ძირითადად რესპონდენტები ვინ არიან ინფორმაციაში, რომელსაც ეცნობით?
- ქართული ოფიციალური მხარე (74)
- აფხაზური ოფიციალური მხარე (1)
- რუსული მხარე (3)
- ქართულ/რუსული (27)
- სხვა (2)

ბოლო სიახლე რა გახსენდებათ აფხაზეთზე? ვინ იყვნენ რესპონდენტები?

თქვენი აზრით ქართული მედია არის თუ არა ამომწურავი იმისთვის, რომ გაიგოთ რა ინტერესები საჭიროებები და მიზნები აქვთ აფხაზებს?
- კი (5)
- არა (102)

გიცდიათ თუ არა ერთი კონკრეტული ახალი ამბავი აფხაზური მედიასაშუალებიდან მიგეღოთ?
- კი (18)
- არა (89)

რის გაგებას ისურვებდით აფხაზებზე/აფხაზებისგან?

დასკვნა

საერთო ჯამში ქართულ ონლაინ მედია გამოცემები 2 თვის განმავლობაში : 2016 წლის აპრილსა და მაისში აფხაზეთის გარშემო სხვადასხვა თემაზე წერდნენ. აპრილში კონტენტი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და ძირითადად ნიუსური სახის იყო, მაისის თვეში ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორიას მკვლელობა გახდა მთავარი თემა. ორივე თვეზე შეგვიძლია ვთქვათ,რომ ინტერნეტში არსებული ინფორმაცია მოკლედ პასუხობს კითხვებს, ამბავში ნაკლებადაა ჩართული სხვადასხვა მხარე, არის ნიუსური ტიპის. გამოკითხული 107 რესპონდენტიდან 95 ქართული ონლაინ მედიასაშუალებიდან იღებს ინფორმაციას. უმეტესობა (74) თვლის რომ ინფორმაციაში, რომელსაც ისინი ეცნობიან, ძირითადად, ქართული ოფიციალური მხარის აზრებია წარმოჩენილი. 102 ადამიანი მიიჩნევს, რომ ქართული ონლაინ მედია ამომწურავ ინფორმაციას არ სთავაზობს მათ, რათა გაიგონ აფხაზების ინტერესები, საჭიროებები და მიზნები. უმეტესობას კი აფხაზებისგან აინტერესებს როგორ ცხოვრობენ დღეს ისინი და როგორ გეგმავენ მომავალს.

Bibliography

2, rustavi. "• ლეიბორისტები ივანიშვილს აფხაზეთი-სომხეთის რკინიგზის პროექტით დაინტერესებაში ადანაშაულებენ ." Rustavi 2 (2016).

accent.com.ge. "• აფხაზეთი მორიგ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობს, ამჯერად - ჩერნოგორიაში ." accent.com.ge (21 აპრილი 2016).

exclusivenews.ge. "• რუსი ე.წ. მესაზღვრის მიერ მოკლული გიგა ოთხოზორია საკუთარ სახლში გადაასვენეს." exclusivenews.ge (20 მაისი 2016).

GHN.GE. "• აფხაზმა ე.წ. მებაჟემ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გიგა ოთხოზორია მოკლა ." GHN.GE (19 მაისი 2016).

IPN.GE. "ე.წ. მესაზღვრის მიერ მოკლული გიგა ოთხოზორია საკუთარ სახლში გადაასვენეს ." IPN.ge (20 მაისი 2016).

livepress.ge. "• აფხაზეთ-სამეგრელოს პირობითი საზღვრის სიახლოვეს სასათბურე მეურნეობა შენდება ." livepress.ge (2016).

newposts.ge. "• ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცინიკური განცხადება - "ოთხოზორია მთვრალი იყო"." newposts.ge (21 მაისი 2016).

Rustavi2. "ლეიბორისტები ივანიშვილს აფხაზეთი-სომხეთის რკინიგზის პროექტით დაინტერესებაში ადანაშაულებენ ." Rustavi2 (2016).

ბასილაია, ეკატერინე. "აფხაზეთი ქართული ენის გარეშე." რეზონანსი (2016).

დალაქიშვილი, ნინო. "მკვლელობა კონფლიქტის ზონაში." amerikiskhma.com (20 მაისი 2016).

ელისო ხუტკუბია, ნიკა შონია. "ბეგლიის ცნობილმა გუნდმა "სამარტინმა" , აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელასა და საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საქველმოქმედო საღამო ჩაატარა ." bakhazia.org.ge (17 აპრილი 2016).

ზანთარაია, თამარ. "აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე ერთი გამშვები პუნქტი გაუქმდა." რადიო თავისუფლება (2016).

ზანთარია, თამარ. "ნაბაკევის მკვიდრი: მოკლული საზღვარზე პროდუქტები გადატანის უფლებას ითხოვდა." radiotavisupleba.ge (20 მაისი 2016).

კალანდია, ბერდია. "ნიკოლოზ მჟავანაძე ხელისუფლებას რუსეთთან დიალოგისკენ მოუწოდებს." timer.ge (11 აპრილი 2016).

წერეთელი, ანა. "მოხდა გამონაკლისი მკვლელობა და ეს არ არის სისტემური ხასიათის, რაც იყო ნაციონალების დროს - პაატა ზაქარეიშვილი ." Rustavi2.com (n.d.).